I სტადიაზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- □ საკადასტრო მონაცემები და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- □ მშენებლობის ნებართვის მაძიებლის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ხოლო წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში – სათანადო რწმუნებულება;
- □ ნებართვის მაძიებლის მოთხოვნა მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობის განვითარებასთან დაკავშირებით;
- □ მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000);
- □ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში, დამატებით საკადასტრო რუკა) დადგენილი მასშტაბით;
- □ მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები;
- □ თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი;

კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია:

- □ **ტოპოგრაფიული კვლევა** - (კვლევის ჩატარება II-IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისას სავალდებულოა (გარდა ისეთი სახის რეკონსტრუქციისა, რომელიც საპროექტო ნაკვეთზე არ ცვლის ტოპოგრაფიულ სურათს).
- □ **არსებული შენობა-ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის კვლევა** - (სავალდებულოა II-IV კლასის შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისას;
- □ **განაშენიანების კვლევა** - სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის მიწის ნაკვეთზე არ მოქმედებს განაშენიანების დეტალური გეგმა. ასეთი კვლევა ტარდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის პროცესში;
- □ ***დოკუმენტური კვლევა*** *- კვლევის საჭიროებას ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ადგენს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო;*
- □ **მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევა** - კვლევის ჩატარება სავალდებულოა, თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია ჩამოყალიბებული განაშენიანებით შეზღუდულ პირობებში (ახალი მშენებლობისა და მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია), III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – სამშენებლო მოედნის 10 მეტრის რადიუსში, ხოლო IV კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – 20 მეტრის რადიუსში, ასევე სხვა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას, რათა გამოირიცხოს დაგეგმილი მშენებლობით მიწის ნაკვეთის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება;
- □ **საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა** - სავალდებულოა II-IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში. (საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შინაარსი განისაზღვრება N255 დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად;

<u>შენიშვნა:</u> *მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ განცხადება და არსებობის შემთხვევაში, თანდართულ დოკუმენტაცია ხელმოწერილი/დამოწმებული უნდა იყოს მისი შედგენის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.*